პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 8 მარტი, 1956 წელი. № 23 (1428) ფასი 10 კაპ.

გამოდის 23-ე წ.

# ადიგენის კოლმეურნე

АДИГЕНИС КОЛМЕУРНЕ

орган Адигенского райкома КП Грузии и райсовета депутатов трудящихся

საქართველოს კპ ადიგენის რაიკომისა და ადიგენის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

## ქალთა საერთაშორისო დღე

8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა. ამ დღეს წელს ორმოცდამეხუთეჯერ აღნიშნავენ მთელი მსოფლიოს მშრომელები.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები ქალთა საერთაშორისო დღეს ხვდებიან ისეთ ვითარებაში, როცა ფართოდ არის გაშლილი შემოქმედებითი მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დააკანონა ქალთა თანასწორუფლებიანობა. საბჭოთა ქვეყნის კონსტიტუციაში ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი ქალისათვის მამაკაცთან თანასწორი უფლების მინიჭება სახელმწიფო, სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში. ქალის ამ უფლებათა განხორციელების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია იმით, რომ ქალს მინიჭებული აქვს მამაკაცის თანასწორი უფლება შრომისა, შრომის ანაზღაურებისა, დასვენებისა, სოციალური დაზღვევისა და განათლებისა, დედისა და ბავშვის ინტერესთა დაცვით, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედისათვის სახელმწიფო დახმარებით, ორსულობის დროს ქალისათვის შვებულების მიცემით და ხელფასის შენარჩუნებით, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების ფართო ქსელით.

მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებენ ქალთა შრომას. სამამულო ომში გმირული მონაწილეობისათვის 120 ათასი პატრიოტი ქალი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით, ხოლო საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 70 ქალს. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მომუშავე 2.270-ზე მეტ ქალს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. მათ შორის 200-ზე მეტი ქართველი ქალია.

საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია 300-მდე ქალი, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოსი—2 ათასზე მეტი, ხოლო ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად არჩეულია ნახევარ მილიონზე მეტი ქალი.

მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად 8 მარტს უდიდესი აღფრთოვანებით ეგებებიან ადიგენის რაიონის მშრომელი ქალებიც. 183 ქალი თავდადებით იბრძვის ნორჩი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის. რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 200-მდე ქალი. რაიონის შრომელი ქალები აქტიურად მონაწილეობენ ხელისუფლების რესპუბლიკურ და ადგილობრივი ორგანოების მართვა-გამგეობაში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია მოხის კოლმეურნეობის აგრონომი თამარ გველესიანი, რაიონული საბჭოს დეპუტატია 12 ქალი, სადაბო და სასოფლო საბჭოების დეპუტატი—67 ქალი, სახალხო მსაჯულად არჩეულია 25 ქალი.

რაიონში 525 მრავალშვილიანი და მარტოხელა დედაა. მარტო 1955 წელს მათ 518.428 მანეთი სახელმწიფო დახმარება მიიღეს.

მამაკაცთან თანასწორი უფლებით და ყველა სხვა დემოკრატიული უფლებებით სარგებლობენ ქალები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც.

სულ საწინააღმდეგო სურათია კაპიტალისტურ ქვეყნებში. 15 კაპიტალისტურ ქვეყანაში ქალებს უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ და არჩეულ იქნან სახელმწიფო ორგანოებში. ესპანეთში, ირანში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალები მამაკაცებთან შედარებით 30-40 პროცენტით ნაკლებ ხელფასს ღებულობენ. თურქეთში ღარიბი გლეხის ოჯახში ტრაგედიაა ქალიშვილის დაბადება. კაპიტალისტურ ქვეყნებში ხშირია ბავშვებით ვაჭრობის საზიზღარი ფაქტები.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ქალები ახალ წარმატებებს მოიპოვებენ კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში, კვლავაც იქნებიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მებრძოლთა ავანგარდში.

## ქართულ ენაზე ბროშურად გამოიცა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას

სახელგამმა ქართულ ენაზე ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).



ქალი საბჭოთა ქვეყანაში დიდი ძალაა. არ არის საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი დარგი, სადაც ქალი აქტიურ როლს არ თამაშობდეს და სამშობლოსათვის პატრიოტული შრომის შესანიშნავ ნიმუშს არ იძლეოდეს.

სურათზე: ცნობილი მოსკოველი ქალები. სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ)—სტალინური პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი ტ. ნიკოლაევა, საზღვაო ქალაქო საჰაერო ფლოტის ინჟინერ-ტექნოლოგი გ. სოლოვიოვა, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 365-ე საშუალო სკოლის დირექტორი ვ. შიპოვა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ე. გოგოლევა, მოსკოვის ლენინის სახელობის მეტროპოლიტენის საუკეთესო მემანქანე ე. ხოროლევა, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი, გმირი დედა ა. გალაშოვა; დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ)—სკკპ XX ყრილობის დელეგატი, ფაბრიკა „პარიზის კომუნის" ოსტატი ლ. საველიოვა, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საწარმოს ცნობილი ხარატი ვ. გოლანსკაია, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ბორტ-რადისტი, რომელსაც გაფრენილი აქვს 2 მილიონი კილომეტრი, ე. ხოლინა, სკკპ XX ყრილობის დელეგატი, კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურას" ოსტატის თანაშემწე მ. ტიტოვა.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

## ადიგენის რაიონის პარტიული აქტივის თათბირი

ამას წინათ მოეწყო რაიონის პარტიული აქტივის თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა, აგიტკოლექტივებისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, პროპაგანდისტებმა.

მოხსენება საკითხზე—რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები პარტიული განათლების საქმეში—წაიკითხა პარტიის ადიგენის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. კ. რეხვიაშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა პარტიული განათლების დარგში გაწეული მუშაობა და განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა ნაკლოვანებებზე, სახელდობრ, იმაზე, რომ სწავლება მიმდინარეობს ცხოვრებისაგან მოწყვეტით, სამეურნეო ამოცანების გვერდის ავლით და, რომ ეს პარტიულ ორგანიზაციებს დღემდე მხედველობიდან რჩებათ. ბოლოს მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფისათვის სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებზე, ამ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე კონკრეტულ ამოცანებზე და, მოუწოდა თათბირის მონაწილეებს მუშაობა წარმართონ ამ ამოცანების შესაბამისად.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: თ. ჭოხონელიძემ, ს. აღლემაშვილმა, მ. ერმიშკინმა, ა. ჯიშიაშვილმა, ს. ზერაკიძემ, პ. ელენტმა, ი. კვირიკაშვილმა და შ. ქორიძემ.

## კომკავშირის ადიგენის რაიკომის პლენუმი

1 მარტს პარტიის ადიგენის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს ალკკ ადიგენის რაიკომის III პლენუმი. პლენუმმა მოისმინა კომკავშირის ადიგენის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ვ. ძაძამიას მოხსენება ადიგენის რაიონში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მოსამზადებლად რაიონში ერთგვარი მუშაობა ჩატარდა. მოეწყო სასკოლო სპარტაკიადა, სადაც მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და ჭადრაკში პირველ ადგილზე გამოვიდა აბასთუმნის საშუალო სკოლა. სპორტის სხვადასხვა სახეობებში კარგი შედეგები მოიპოვეს ადიგენის საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. 1955 წელს „მშთ" ნიშანზე რაიონში მომზადებულ იქნა 143 ახალგაზრდა, რომელთა 80 პროცენტი კომკავშირელებია.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადება რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ამ საქმეს სუსტად ხელმძღვანელობს ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი (თავმჯდომარე ამხ. ა. სარქისოვი). განსაკუთრებით სუსტად არის დაყენებული ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა სოფლის ახალგაზრდობას შორის. სრულ უმოქმედობას იჩენს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის" რაიონული კომიტეტი.

მოხსენების გარშემო კამათში გამოსულმა ზანავის საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა თ. ჯანელიძემ გააკრიტიკა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი და კომკავშირის ადიგენის რაიკომი იმისათვის, რომ ისინი ქმედით ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტს რომ მეტი დაინტერესება გამოეჩინა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების საქმეში, გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა, რადგან რაიონში ბლომად მოიპოვებიან ფიზკულტურითა და სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე გ. გიორგაძემ (განათლების განყოფილების გამგე), ქ. ხვედელიანმა (ადიგენის საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი), პ. ყულჯანიშვილმა (აბასთუმნის საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი), ი. ბალახაშვილმა (დოსაafის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე) და სხვებმა.

ბოლოს შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა პარტიის ადიგენის რაიკომის მდივანი ამხ. ა. იაკობიძე.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო ღონისძიება.

## გამოცდილების კოლექტიური გაზიარება



კალინინის ოლქი. ვიშნევოლოცკის ბამბეულის კომბინატის კაგანოვიჩის სახელობის სართავ ფაბრიკაში მუშაობს ზოია დანილოვას კომკავშირული ბრიგადა. სკკპ XX ყრილობისათვის მზადების დღეებში ბრიგადის წევრებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს შრომის ნაყოფიერება. ერთი თვის განმავლობაში მათ გეგმის გადამეტებით დაამზადეს 5.100 კილოგრამი ნართი. ეს შესაძლებელი გახდა მრავალი პროფესიის დაუფლების შედეგად. მათშორის ამხანაგური დახმარება წესად იქცა და ყოველთვის შეუძლიათ შეცვალონ ერთმანეთი.

ზ. დანილოვას ბრიგადამ გადაწყვიტა თავისი დადებითი გამოცდილება გაუზიაროს საამქროს სხვა მუშაკებს. მან მოაწყო კოლექტიური გამოცდილების გაზიარება სხვა ბრიგადებისათვის. ახალგაზრდა ენთუზიაზისტები ცვლის დამთავრების შემდეგ მიდიან ამა თუ იმ ყველაზე ჩამორჩენილ ბრიგადაში, მუშაკებს ადგილზევე უსწორებენ შეცდომებს და ყოველმხრივ ეხმარებიან ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

ზოია დანილოვას ბრიგადის წამოწყებამ მრთველებს საშუალება მისცა გაედიდებინათ პროდუქციის გამოშვება და გაეუმჯობესებინათ ხარისხი. სამი თვის განმავლობაში საამქრომ გეგმის გადამეტებით დაამზადა 74 ტონა ნართი. ახლა ამ გამოცდილებას თავის მცვლელებს უზიარებს ფაბრიკის 32 ბრიგადა, ხოლო ვიშნევოლოცკისა და კალინინის ბამბეულის კომბინატების ათასობით მუშაკი მონაწილეობს კოლექტიური გამოცდილების გაზიარებაში.

სურათზე: ზ. დანილოვას ბრიგადის წევრები თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ გ. ერმოლაევას ბრიგადის წევრებს.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

## ფელეტონი

## ჩვენი საუკუნის დონ ჟუანი

ფელეტონის მთავარი მოქმედი პირია ჩვენი დროის დონ ჟუანი, სოფელ წახანში მცხოვრები მოქალაქე კარაპეტ გასპარიანი.

—თინიკო-ჯან, რატომ არ გჯერა, რომ მიყვარხარ და ეს სიყვარული წრფელი და მტკიცეა?...

ასე ჩასჩურჩულებდა კარაპეტა თინა ანტონიანს. ქალი, თითქოს გული უგრძნობსო, ვერ ბედავდა გადაჭრით ეთქვა „ჰო" და ცოლად გაჰყოლოდა. მაგრამ მამაკაცი ძლიერი და გამოცდილი აღმოჩნდა.—უკან არ დაიხიო, გააგრძელე იერიში და, ისე როგორც მრავალის, თინას გულიც დატყვევდება,—იქეზებდა იგი თავს. ანგარიშში არ მოტყუვდა, ქალი თანდათან მოლბა და „მოლაპარაკება" შეუღლებით დამთავრდა.

შეუღლების პირველი შედეგი ის იყო, რომ სამმა არსებამ სამყარო იხილა. მოსალოდნელი იყო, რომ ბავშვების გაჩენა ხელს შეუწყობდა ცოლქმრული ურთიერთობის განმტკიცებას, ოჯახის შედუღაბებას. მაგრამ ეს არ გამართლდა. კარაპეტა რის დონ ჟუანია, თუ მთელი სიცოცხლე ერთ ქალს შეალია! დაიწყო ცოლქმარს შორის წვრილმანებზე კინკლაობა, აყალ-მაყალი. —ცოლს რომ გავეყარო,—ეუბნებოდა თავის თავს კარაპეტ გასპარიანი,—საჭიროა საბაბი, რომელიც ადვილი გამოსაძებნია. ავტეხავ ჩხუბს, ეს ხომ ჩემი სპეციალობაა! ბოლოს ვიტყვი, რომ ოჯახში გაუთავებელი უთანხმოება გვაქვს და ერთად არ გვეცხოვრება. ვის შეუძლია გამამტყუნოს?...

დონ ჟუანი ოჯახიდან წავიდა და მალე მის უბის წიგნაკში ჩაიწერა ახალ მსხვერპლთა სახელები: ლ. გ., თ. ვ., თ. შ. და სხვები. ბოლოს არჩევანი ელენე გვარამაძე—აბოვიანზე შეაჩერა და მასთან ერთად სოფლიდან გადაიხვეწა.

მკითხველი ალბათ იკითხავს, თუ რა ბედი ეწია ბავშ... რომლებმაც „მზრუნველი ... დაჰკარგეს. ორმა უმ... ბავშვმა დაჰკარგა დედ... მელმაც დედობა ... უფროს შვილს ხელი ჩას... მცირეწლოვანნი მიატოვა ... გაურკვეველი მიმართულე... წავიდა. ასეთი დედა ერთ ... ფელს კი არა, მთელ სა... დოებას უნდა მოსცილდეს.

არავინ იცის, თუ რა... სატრფიალო თავგადასავ... შეხვდა შემდეგ მეორე სა... ნის გადახვეწილ დონ ჟუ... მეზობლებმა მხოლოდ ის ი... ან, რომ მან ერთი ... წინათ პატარა ეთერის და ... ლოდის „ახალი დედა" ... ბაძე მოჰგვარა.

დონ ჟუანი ბედით ... ფილია. რატომაც არ ... იყოს, როცა წახნის კოლ... ურნეობის გამგეობამ ... ხვის ნაცვლად საწყობის გ... გის ადგილი არგუნა?!

ფ. ლუკაშვილი,
ა. რეხვიაშვილი.

## სანიმუშო სისუფთავე დავამყაროთ რაიონულ ცენტრსა და სოფლებში

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სისუფთავის დაცვისადმი ყურადღების ოდნავი შესუსტებაც კი ჯანმრთელობის საქმეს ვნებს. ეს კარგად აქვს შეგნებული თვითეულ მშრომელს, მაგრამ საქმით ყველა იმას როდი აკეთებს, რაც სჯერა ან რაც ევალება. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში რაიონულ ცენტრსა და რაიონის სოფლებში ჯეროვანი ყურადღება ექცევა სისუფთავის დაცვას—სისტემატურად წარმოებს ნაგავის გატანა, მიკი დასაყრელი ადგილების დამუშავება, ბევრგან აიგო საპირფარეშოები და დაიდგა სანაგვე ყუთები, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ჯერ კიდევ არ არის. ზოგან უხეშად ირღვევა სანიტარული წესები. საკმარისია აღინიშნოს, რომ რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილება (გამგის მოვალეობის შემსრულებელი ამხ. ა. მაისურაძე) რაიონულ ცენტრში თვეობით დაგროვილი ნაგავის გატანას, როგორც ჩანს, არ აპირებს.

რაიონული ცენტრის ტერიტორიაზე ბლომადაა მოხეტიალე ძაღლები, უმეთვალყუროდ მიტოვებული ღორები, თხები და სხვა ცხოველები, რომლებიც აბინძურებენ ქუჩებსა და ეზოებს, ქმნიან დაავადებათა გავრცელების საშიშროებას (ეს განსაკუთრებით ითქმის ძაღლებისა და კატების შესახებ). ეს მდგომარეობა დღემდე ყურადღებას მოკლებულია. ხშირია სანიტარული წესების დარღვევის შემთხვევები მობინადრეთა მიერ. მრავალი მათგანი, მიუხედავად ბევრჯერ გაფრთხილებისა, გასულ წელს დაჯარიმებულ იქნა.

ამ საქმეში განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ბოლაჯურის საექიმო უბნის (გამგე იგნატენკო) თანამშრომლები, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი საქმიანობა ამ ერთი სოფლის ფარგლებს არ ცილდება.

სისუფთავის დაცვის მხრივ ზოგიერთ საექიმო უბანს არაფერი გაუკეთებია. ტყემრეწველობის მეურნეობის კანტორის ეზო ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, მაგრამ ეს ნაკლებად აწუხებთ მლაშის საექიმო უბნის თანამშრომლებს, რომლებიც იმასაც კი გაურბიან, რომ გააფრთხილონ დასახელებული დაწესებულების ხელმძღვანელები. უდეში ხშირად ისმის საკითხი სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომებზე დასუფთავების შესახებ, მაგრამ საქმეს არსებითი გაუმჯობესება არ ეტყობა: სანიტარული მდგომარეობა სოფელში სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი; რომ არაფერი ვთქვათ მობინადრეებზე, აქ ზოგიერთ საზოგადოებრივ დაწესებულებას რიგიანი საპირფარეშო არა აქვს. ანალოგიური მდგომარეობაა არალშიც, სადაც ქუჩები ისე უსუფთაოა, რომ გავლა ჭირს.

სისუფთავის საქმეში ერთგვარი გაუმჯობესება დაეტყო რაიონის საზოგადოებრივი კვების ობიექტებს, მაგრამ ნაკლი აქაც ბევრია. მოუგვარებელია სასაკლაოს მოწყობის საქმე და პირუტყვს ეზოში კლავენ. ჯერ კიდევ იმის ბევრი ფაქტია, რომ კვების ობიექტებში თანამშრომლებად ღებულობენ ადამიანებს, რომლებსაც საექიმო შემოწმება არ გაუვლიათ. სანიტარული წესრიგი დაცული არ არის უდისა და ვარხნის სასაუზმეებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებსა და ბავშვთა დაწესებულებებს, სადაც ძალზე ცოტაა სანიტარული წესების დაცვით აგებული საპირფარეშოები და მოუგვარებელია წყლის მომარაგებისა და შენახვის საქმე. უმრავლეს სკოლებში წყალი თავლია კასრებში ინახება, რაც დაუშვებელია. არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია მოსწავლეთა მიერ პირადი ჰიგიენის დაცვა, რომელიც ზოგჯერ მხედველობის არეს გარეთ რჩება. სწორედ ამის გამო გახდა აუცილებელი წახანწყაროს დაწყებით სკოლაში დუსტირების ჩატარება. სამწუხაროდ, ეს შემთხვევა განაკლისი როდია.

რაიონული ცენტრის საბავშვო ბაგაში სანიტარული წესრიგის დარღვევას ხელს უწყობს ბინის სივიწროვე და ეზოს შეუღობავობა. ამას ემატება წყალგაუყვანილობისა და კანალიზაციის მოუწყობლობაც. მსგავს სურათს ვხედავთ საბავშვო ბაღშიც.

სანიმუშო სისუფთავე დავამყაროთ რაიონულ ცენტრსა და სოფლებში—აი ამოცანა, რომლის განხორციელებაში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მუშაკებს დახმარება უნდა გაგვიწიონ რაიონის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, მთელმა მოსახლეობამ.

ვ. დოლიძე,
რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარი ექიმი.

## ფიზკულტურა და სპორტი

## აბასთუმნელი მეთხილამურენი

აბასთუმანში პატივს სცემენ სპორტის მრავალ სახეს, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარულით სათხილამურო სპორტი სარგებლობს. სპორტის ამ სახისადმი მიდრეკილებას აძლიერებს ბუნებრივი პირობები. ხანგრძლივი, თითქმის ხუთთვიანი ზამთარი, სქელი თოვლით დაფარული ფიჭვნარის ლამაზი ფერდობები, მშვიდი,უქარო ამინდი—აი, ყოველივე, რაც ადამიანს თხილამურისაკენ მოუწოდებს.

—წელს ტარდება სსრ. კავშირის ხალხთა სპარტაკიადა და, რომ არ შევრცხვეთ, აქედანვე უნდა ვემზადოთ,—უთხრა მოსწავლეებს აბასთუმნის საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა პ. ყულჯანიშვილმა.

ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა მხრები აიჩეჩეს და აღმზრდელს გაკვირვებით შეხედეს: ეს როგორ, სპარტაკიადა ზაფხულში ტარდება და რა შუაშია აქ თხილამურებით ვარჯიში?—განცვიფრებული თვალებით ეკითხებოდნენ ისინი მას.

გულისხმიერი, ბავშვებთან შესისხლხორცებული აღმზრდელი უსიტყვოდაც ყოველივეს ადვილად მიხვდა. მან მკაცრი გამომეტყველება მიიღო და ახალგაზრდებს ასე მიმართა: კარგად იცით, რომ სპორტის ყველა სახეში ვარჯიშის ტექნიკა სუსტი გვაქვს, მაინცდამაინც ხელს არც ფიზიკური მომზადება გვიწყობს. მაშ როგორ გინდათ, ხელი ავიღოთ თხილამურზე? ზამთრის პირობებში, როცა ფეხბურთში, სირბილში, ხტომაში, კალათბურთსა და სხვა სახეობებში ვარჯიში გაძნელებულია, სხეულის მოსაქნელად და გასაკაჟებლად ყველაზე კარგი საშუალება თხილამურია. არ დაივიწყოთ, რომ შეჯიბრებაში ტექნიკას სრულყოფილად დაუფლებულიც კი ვერას გახდება, თუ ფიზიკური მომზადება აკლია...

ეს იყო იანვრის დასაწყისში. ამ დღიდან დაიწყო სისტემატური ვარჯიში, რომელშიც მოსწავლეებთან ერთად ზოგიერთი პედაგოგიც მონაწილეობს. მალე პ. ყულჯანიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო შეჯიბრება 10-კილომეტრიან დისტანციაზე ზეკარის გადასასვლელის მიმართულებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს XI კლასის მოსწავლეებმა. სტარტი წარმატებით აიღეს... ვაჟებიდან საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ს. სირუნიანმა და ა. კოვალენკომ, რომლებმაც დისტანცია ერთ საათში დაფარეს. ქალებიდან წარმატება წილად ხვდათ ა. ბელაგუროვასა და ს. სარქისოვას. მათი დრო 70 წუთი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 35 წლისთავის აღსანიშნავად მოეწყო გადასვლა მარშრუტით: აბასთუმანი—ადიგენი—აბასთუმანი. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად მეთხილამურენი დროს ვერ ჩაეტიენ, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს გადასვლა მაინც წარმატებით იყო, რადგან აღნიშნულ ტრასაზე მრავალი რთული დაბრკოლებაა, რომელსაც ნისლი და თოვაც ემატებოდა.

მოსწავლე სპორტსმენებს გადაწყვეტილი აქვთ ამ დღეებში მოაწყონ შეჯიბრებები საშუალო დისტანციებზე.

მ. გოგოლაძე,
ჩვენი კორ.



სურათზე: აბასთუმნის საშუალო სკოლის მოსწავლე სპორტსმენთა ერთი ჯგუფი 10-კილომეტრიანი დისტანციის სტარტის წინ. მარჯვნივ პირველი—ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი პეტრე ყულჯანიშვილი.

## სკოლებს სათბობი აკლია

წახნის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი ამხ. გ. დევდარიანი) მოსწავლეთა ნორმალურ მეცადინეობას ხელს უშლის სათბობის უქონლობა. ამ საქმეში დაუინტერესებლობა გამოიჩინეს ვარხნის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა და წახნის კოლმეურნეობის გამგეობამ რომლებმაც 45-ის ნაცვლად სკოლაში მოიტანეს მხოლოდ 12,11 კუბურიმეტრი შეშა.

ასეთივე მდგომარეობაა წახანწყაროს დაწყებით სკოლაში (გამგე ამხ. ბ. დემეტრაძე).აქ 10 კუბურიმეტრის მაგიერ 2 კუბურიმეტრი შეშა იქნა მოზიდული, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. სკოლას არა აქვს საკუთარი მაგიდა, კარადები და სკამები.

საკითხავია, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?

კ. ძორიძე.

რედაქტორი შ. გურული.



გაზეთ „ადიგენის კოლმეურნის" სტამბა.